შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი

განათლების ფაკულტეტი

რამაზან გოჩთუ

ტრადიციული და ალტერნატიული შეფასების შედარება საშუალო განათლების მაღალ საფეხურზე ინგლისური ენის სწავლებისას (საქართველოს მასალაზე)

სადოქტორო დისერტაციის ავტორეფერატი
განათლების მეცნიერებებში

თბილისი, 2013

ხელმძღვანელი: პროფ. დოქტ. ნათელა დოღონაძე

.....

(ხელმძღვანელის ხელმოწერა)

ექსპერტები:

პროფ. დოქტ. მაია ჩქოტუა
ასოც. პროფ. დოქტ. ეკატერინე ფიფია

ოპონენტები:
პროფ. დოქტ. მანანა ღარიბაშვილი
ასოც. პროფ. დოქტ. ირა დანელია

XXI საუკუნის საზოგადოებრივ ცხოვრებაშიმნიშვნელოვანი ცვლილებები მიმდინარეობს. ბუნებრივია, ხორციელდება რეფორმები, მათ შორის განათლების სისტემაშიც. რეფორმების მიზანია, შეძლებისდაგვარად მოხდეს განათლების სისტემის ადეკვატური შეფარდება საზოგადოებასთან. თუმცა ზოგ შემთხვევაში განათლების რეფორმებს ვერ მოაქვთ ისეთი სასარგებლო შედეგები, როგორც მოსალოდნელია, რადგან სიახლეები ვითარდება იმდენად სწრაფად და მრავალრიცხოვნად, რომ მასწავლებლები კარგად ვერც კი აცნობიერებენ ახლადშემოღებული სიახლეების ეფექტურობას. ხშირად მათ ესმით ამ სიახლეების შესახებ მოკლევადიან ტრენინგებზე და შემდეგ ისინი იყენებენ რეკომენდირებულ ხერხებს გაუცნობიერებლად. ამის გამო ბევრი მასწავლებელი ეჭვის თვალით უყურებს ასეთ სიახლეებს, თუმცა გამოკვლევები ამტკიცებენ, რომ ისინი უტყუარია და უნდა იქნას დანერგილი. წარმატების მისაღწევად არ არის საკმარისი, უბრალოდ შევაფასოთ სიახლეები, როგორც „ახალი მოვლენა", უნდა გავუკეთოთ ანალიზი მათ დადებით და უარყოფით მხარეებს, აგრეთვე ვეძებოთ გზები მათ ოპტიმალურად დასანერგად.

განათლების ასეთ რეფორმებს შორისაა შეფასების ახალი სისტემის შემოღება. XX საუკუნის დასაწყისში დასავლეთის ქვეყნებში დაიწყო ობიექტური ტესტების გამოყენება. ზოგიერთ ქვეყანებში, საქართველოს ჩათვლით, განათლების ოფიციალურ სისტემაში ამ მიმართულებით რეფორმები გატარდა მხოლოდ 1990-იან წლებში. 2000 წელს კი, როცა საზოგადოებას წარედგინათ კიდევ ერთი ახალი რეფორმა, როგორიცაა ალტერნატიული, ავთენტური და მოქმედებითი შეფასება (პორტფოლიოს შეფასების ჩათვლით), ტესტირებისთვის ახალშეგუებულ მასწავლებლებს არც კი უნდოდათ ამის გაგონება. მეორეს მხრივ, ასეთი სახის შეფასება, რომელიც ნაჩვენები იქნება ჩემს დისერტაციაში, კომპენსაციას ახდენს ტრადიციული ზეპირი, წერითი და ბოლო ხანს შემოღებული ობიექტური ტესტების ხარვეზებისა. ეს იმას ნიშნავს, რომ მისი გამოჩენა ხელსაყრელი უნდა იყოს, როგორც სწავლების ხარისხისათვის, ასევე მოსწავლის კმაყოფილებისათვის.

შეფასების მეთოდები ძალიან მნიშვნელოვანია განათლების სისტემაში, როგორც „გვირგვინი" სტუდენტების მარცხისა და წარმატების, რომელიც მოუწოდებს მათ სწავლის გაუმჯობესებისაკენ. მოსწავლეებმა ძირითადი განათლება უნდა მიიღონ

სკოლაში. მათი კმაყოფილება დიდადაა დამოკიდებული იმაზე, თუ რამდენად ეფექტურად არის შეფასებული მათი ცოდნა. იმისათვის, რომ ცხადი გახდეს, შეფასების რომელი მეთოდია საუკეთესო ან რომ ვიპოვოთ ოპტიმალური კომბინაცია სხვადასხვა მეთოდებს შორის, შესაბამისი კვლევებია ჩასატარებელი. მე ვიმედოვნებ, რომ ჩემი დისერტაცია მოკრძალებულ წვლილს შეიტანს და გამოამჟღავნებს საგანმანათლებლო პორტფოლიოს როგორც შეფასების ეფექტური მეთოდის შესწავლაში, ამიტომაც ვფიქრობ, რომ უნდა მოხდეს პორტფოლიოს მეშვეობით შეფასების პოპულარიზაცია მასწავლებელთა და მკვლევართა შორის. ეს ხდის ჩემს **თემას აქტუალურსა და მნიშვნელოვანს**.

მოკლედ აღვწერ, თუ რას ნიშნავს „ჭეგმარიტი" (authentic) შეფასება და ერთ-ერთი მისი სახე — პორტფოლიოს გამოყენებით შეფასება. ავთენტური სწავლება (შეფასების ჩათვლით) მართებულად უნდა იყოს დაკავშირებული რეალურ სამყაროსთან. ავთენტური შეფასება მოითხოვს მოსწავლეებისგან, რომ გამოიყენონ თავიანთი განათლების პროცესში შეძენილი უნარ-ჩვევები რეალურ ცხოვრებაში. საგანმანათლებლო პორტფოლიო არის მტკიცებულებათა ერთობლიობა, რომელიც წარმოადგენს მოსწავლის სწავლის შესაძლებლობებს.

ჩემი **დისერტაციის მიზანია,** გამოვარკვიო:

1) რამდენად კარგად არიან საგანმანათლებლო სისტემის შედეგებით დაინტერესებული პირები (ე.წ. stakeholders) - სკილოს ადმინისტრაცია, მასწავლებლები, მოსწავლეები და მათი მშობლები) - გათვიცნობიერებული საგანმანათლო პორტფოლიოს გამოყენებაში, რა დამოკიდებულება გააჩნიათ მათ პორტფოლიოს მიმართ.

2) გავარკვიო, დაადასტურებს თუ არა მოცემულ საკითხზე ლიტერატურის მიმოხილვა ჩემ აზრს შეფასების თანამედროვე მეთოდების შესახებ

3) გამოიწვევს თუ არა პორტფოლიოს გამოყენება კარგ შედეგებს

4) შეძლებს თუ არა ექსპერიმენტალური სწავლება, დაამტკიცოს კომპლექსური/შერეული შეფასების (ტრადიციული ზეპირი/წერითი შეფასება + ტესტირება + პორტფოლიო) უფრო მაღალი ეფექტურობა ისეთ შეფასებასთან შედარებით, რომელიც არ შეიცას შეფასების თანამედროვე მეთოდებს

ჩემს დისერტაციაში განხილული **პრობლემებია**:

1) ბევრმა პედაგოგმა საერთოდ არ იცის შეფასების თანამედროვე მეთოდების შესახებ, ზოგიერთი პედაგოგი, რომელსაც მეტნაკლებად გააზრებული კი აქვს ისინი, მაგრამ არ თვლის, რომ საჭიროა მათი გამოყენება.

2) პორტფოლიოს დახმარებით შეფასებას ჯერ კიდევ სჭირდება ღრმა და ფართო გამოკვლევები მისი ეფექტურობის დასადგენად იმისათვის, რომ მისი დანერგვისას შეძლებისდაგვარად თავი ავარიდოთ მის სუსტ მხარეებს.

ჩემი **კვლევის ჰიპოთეზებია:**

- პორტფოლიოს გამოყენება არის შეფასების ერთ-ერთი ფორმა, რომელიც აამაღლებს მოსწავლეების ინგლისური ენის უნარ-ჩვეების დონეს და უბიძგებს მათ უკეთწესი სწავლისაკენ.
- პორტფოლიოს გამოყენებისას მოსალოდნელია სწავლის მოტივაციისა და ენობრივი უნარ-ჩვევების დონის ზრდა, რომლის საფუძველიცაა მოსწავლის ბუნებრივი აქტიურობა, როცა მას შეუძლია მიმართოს ცოდნის მაფორმირებელ შეფასებას; პორტფოლიოს გამოყენება არის მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესი (როცა თვით მოსწავლეს შეუძლია აირჩიოს მისი ნამუშევრები, რომლებიც იქნება შეფასებული).

მე არ ვცდილობ, მოვახდინო პორტფოლიოს როგორც შეფასების მეთოდის იდეალიზაცია. მიმაჩნია, რომ პორტფოლიოს გამოყენებას აქვს დაბრკოლებებიც: ის არის დრო-ტევადი, აძლევს საშუალებას მოსწავლეს, წარმოადგინოს სხვისი ნამუშევარი როგორც თავისი და რთულია მისი შეფასება ობიექტურად.

გარდა ამისა, მე არ ვთვლი პორტფოლიოს შემაჯამებელი შეფასების ეფექტურ ერთად-ერთ მეთოდად, მაგრამ მივიჩნევ, რომ პორტფოლიო არის შეფასების ერთ-ერთი ეფექტური მეთოდი. აი ამიტომაც ექსპერიმენტის მსვლელობისას ვაფასებდი ჩემი მოსწავლეების ენობრივ უნარ-ჩვევებს შემდეგნაირად: 30% - შეფასება პორტფოლიოს გამოყენებით, დანარჩენი – ტრადიციული ზეპირი, წერითი შეფასება და ტესტირება.

ზემოთ აღნიშნული პრობლემების გადასაჭრელად მე მივმართე **კვლევის** შემდეგ **მეთოდებს**:

- თემაზე არსებული ლიტერატურის მიმოხილვა და ანალიზი;
- დაკვირვება;

- კითხვარი;
- ექსპერიმენტი;
- გამოკითხვისა და ექსპერიმენტის შედეგად მიღებული მონაცემების სტატისტიკური ანალიზი.

მოცემული კვლევა მიმართავს შერეულ მეთოდოლოგიას - იყენებს რაოდენობრივ და თვისობრივ მეთოდებს. კვლევა რაოდენობრივია, რადგან გამოკითხვისა და ექსპერიმენტის მონაცემები სტატისტიკურად არის დამუშავებული. მეორე მხრივ, კვლევა თვისობრივია - ანკეტირების გზით აღწერს კონკრეტულ შემთხვევას (ე.წ. case study) - საქართველოს რამდენიმე სკოლის ადმინისტრაციის, მასწავლებლებისა და მოსწავლეების მშობლების შეხედულებას პორტფოლიოს გამოყენების თაობაზე. ამ გზით მე ცვდილობდი, გამეხადა ჩემი კვლევა მაქსიმალურად ობიექტური.

ჩემი კვლევა არის ემპირიული. დასმული პრობლემების შესაბამისად ყურადღება გავამახვილე ინგლისური ენის მასწავლებლებსა და საშუალო სკოლის მოსწავლეებზე.

კვლევის სიახლე

საგანმანათლებლო პორტფოლიოს გავრცელება დასავლეთის ქვეყნებში დაიწყო 1980-იან წლებში, საქართველოსა და თურქეთში - 2000 წელს. იმ ცოტაოდენ კვლევებმა, რომლებიც ჩატარებული იქნა ამის შემდეგ ჩვენს ქვეყნებში, აჩვენა პორტფოლიოს როგორც შეფასების მეთოდის ეფექტურობა. მაგრამ საკითხს უფრო ფართო და ღრმა შესწავლა სჭირდება. ეს კი ხდის ჩემს კვლევას ახლებურს. გარდა ამისა, მე შევეცადე, შემასწავლა პორტფოლიო არსებული პედაგოგიური პრაქტიკის კონტექსტში და ამომწურავი შედარება მომეხდინა ყველა ცნობილი საგანმანათლებლო შეფასების მეთოდის, პორტფოლიოს ჩათვლით.

კვლევის თეორიული მნიშვნელობა

ჩემი კვლევის თეორიული საფუძვლებია:

— მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლება, რომელიც მოითხოვს, რომ მხედველობაში იყოს მიღებული მოსწავლის შესაძლებლობები, ინტერესები, მოთხოვნილებები და სწავლის სირთულეები (Armstrong, 2012)

— აქტიური, ავთენტური და კომუნიკაციური სწავლების მეთოდები და თეორიები, რომლებიც, მსგავსად შეფასების იმ მეთოდისა, რომელსაც მე ვუწევ რეკომენდაციას, დღეს - იმისთვის რომ ჰქონდეთ პრაქტიკული ღირებულება - ხდებიან უფრო და უფრო ეკლექტიკურები (მაგ., McKenzie, 2007)

— ალტერნატიული შეფასების იდეები (Hancock, 1994; Hanson, 1993; Tannenbaum, 1996)

- მოტივაციის თეორია (მაგ., Weiner, 1922)

მე შევეცადე, მცირე წვლილი მაინც შემეტანა მათ განვითარებაში, ინგლისური ენის უნარ-ჩვევების შეფასებისას საშუალო სკოლაში პორტფოლიოს გამოყენების კუთხით.

კვლევის პრაქტიკული მნიშვნელობა

განათლების სფეროში პორტფოლიო თანდათან იხვეჭს პოპულარობას როგორც შეფასების მეთოდი, განსაკუთრებით კი ინგლისური ენის სწავლებაში. იმისათვის, რომ ის გამოვიყენოთ ეფექტურად, საჭიროა, ვიცოდეთ მისი უპირატესობები და ხარვეზები, ხარვეზების დაძლევის გზები, მისადმი მოსწავლეევისა და მასწავლებლების დამოკიდებულება და ა.შ. - საკითხები, რომლებსაც ეძღვნება ჩემი კვლევა.

დისერტაციის სტრუქტურა

დისერტაცია შედგება შემდეგი ნაწილებისაგან: შესავალი, 3 თავი, დასკვნა და დანართი. აგრეთვე დისერტაცია შეიცავს 24 ცხრილსა და 4 გრაფიკს.

დისერტაციის მოკლე შინაარსი

პირველი თავი: ტრადიციული და ალტერნატიული შეფასება — ლიტერატურის მიმოხილვა

თავი შეეხება ყველა სახის საგანმანათლებლო შეფასებას და მათ ისტორიას. შეფასება, უნარ-ჩვევების დონის გაზომვა და ტესტირება თითქოს ჰგავს ერთმანეთს. ბევრ ლექსიკონში მათი განსაზღვრებები სინონიმურია და ერთთს მეორის გამოყენებით განსაზღვრავს, რაც დაუშვებელია. ამ ტერმინებს შორის განსხვავება ნაჩვენებია ამ თავში.

თავი ასევე აანალიზებს საგანმანათლებლო შეფასებების ხვადასხვა ფორმას, განსაკუთრებით კი – ალტერნატიულ / ავთენტურ (ნამდვილ, ცხოვრებისეულ) შეფასებას.

კოჩაკისა და ეგენის (2004) მიხედვით, მოსწავლის ცოდნისა და უნარ-ჩვევების შეფასების ფუნქციებია:

— **მოტივაცია:** მასწავლებლის მიერ შეფასება და მოსწავლის თვითშეფასება აძლევენ მოსწავლეს წინსვლის შეგრძნებას. თუ მოსწავლე იღებს მაღალ შეფასებას, ის არის ნასიამოვნები, თუ არა — ის სტიმულს იღებს, უკეთესად ისწავლოს;

— **სწავლა და თვით-კორექცია:** ადამიანები სწავლობენ საკუთარ შეცდომებზე. მოსწავლეები ცდილობენ, რომ გაიუმჯობესონ ცოდნა, რათა გამოასწორონ თავიანთი შეცდომები და აღარ გაიმეორონ ისინი. დავალებები პასუხებით („გასაღეებით“) მიზანშეწონილია და სასარგებლოა თვთშეფასებისათვის;

— **აღზრდა:** მასწავლებლები, რომლებიც რეგულარულად აწარმოებენ მოსწავლეების ცოდნის შემოწმებასა და შეფასებას, ხელს უწყობენ მოსწავლეების მუშაობას. მოსწავლეები პასუხისმგებლობით და ორგანიზებულობით ეკიდებიან თავიანთ სწავლას;

— **ოპტიმიზაცია:** მიღებილი შედეგების შესაბამისად მასწავლებლებს შეუძლიათ, გააუმჯობესონ სწავლების პროცესი (ახალი მეთოდების / სავარჯიშოების გამოყენებით, მეტი დროის დათმობით გარკვეული მასალისათვის), მოსწავლეებს შეუძლიათ ადეკვატურად გამოიყენონ შეძენილი ცოდნა და უნარ-ჩვევები ცხოვრებაში;

— **მშობლებისა და განათლების ორგანოების / ადმინისტრაციის ინფორმირება:** მათ უნდა იცოდნენ, რა უნდა გააუმჯობესონ განათლების სისტემაში;

— **კვლევა:** საგანმანათლებლო კვლევა განსაზღვრავს სავარჯიშოების, სწავლების მეთოდების, სასწავლო მასალების ეფექტურობას შეფასების შედეგებზე დაყრდნობით.

შეფასება ერთ-ერთი გადამწყვეტი კომპონენტია სწავლებისა. საზოგადოებას, განათლების სამინისტროსა და სხვა ორგანოებს, მოსწავლეებს, მათ მშობლებს, სკოლების ადმინისტრაციას, აქვთ განსხვავებული შეხედულებები შეფასების სტრატეგიებზე. შეფასება არის უწყვეტი პროცესი მოსწავლის წარმატების დადგენისა

იმისათვის, რომ ეს ინფორმაცია გამოიყენებულ იქნას განათლების სისტემის გასაუმჯობესებლად.

პირველ თავში განხილულია სწავლების ავთენტურობის ცნება. „ნამდვილი“ (ხცოვრებისეული) სწავლება, თავის მხრივ, დაკავშირებულია სწავლის ავთენტურობასთან. ავთენტური სწავლება მჭიდრო კავშირშია სწავლებისადმი მიდგომასთან, განსაკუთრებით კი, პრობლემების გადაწყვეტის კონტექსტებში (Savery, 2006). შესაბამისად, ავთენტური შეფასება მოითხოვს მოსწავლეებისგან, სასწავლო პროცესში გამოიყენონ შეძენილი ცოდნა და უნარ-ჩვევები ზუსტად ისე, როგორც ამას იზამდნენ რეალურ ცხოვრებაში. ავთენტური შეფასების დღესდღეობით ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ფორმა არის პორტფოლიო. პორტფოლიოს ძირითადი ფუნქციაა, დროის გარკვეულ მონაკვეთში შეაჯამოს მოსწავლის მიღწევები. პორტფოლიოს მომზადების დაწყებამდე მოსწავლეს უნდა გააჩნდეს დასახული მიზანი, რომლითაც ის შეძლებს დაასრულოს მისი პროექტი, სხვა შემთხვევაში ის დაიბნევა და ვერ მიხვდება, თუ რა დეტალებია საჭირო პორტფოლიოში განსათავსებლად.

პორტფოლიოს გამოყენებით შეფასება მნიშვნელოვანია იმიტომ, რომ ის განსაზღვრავს მოსწავლის წინსვლას და ამოწმებს სწავლის პროცესს, არამარტო მის შედეგს. ავთენტური საგანმანათლებლო შეფასება, როგორიც არის პორტფოლიო, ვრცელდება სწავლების მრავალ საფეხურზე და დემონსტრაციას უკეთებს იმას, თუ რა იცის სტუდენტმა და როგორ იყენებს ის ამ ცოდნას. ტრადიციული შეფასება, როგორიც არის ზეპირი და წერითი გამოცდები, არის მასწავლებლის მიერ მართული, სუბიექტური და შეიძლება იყოს კორუფციის ხელშემწყობიც კი. შედარებით ახალი, მაგრამ უკვე საკმაოდ ტრადიციული შეფასებები როგორიც არის ობიექტური ტესტები, ობიექტურად აჩვენებს, თუ როგორ მიმდინარეობს სასწავლო მასალის დამახსოვრება, მაგრამ პორტფოლიოს გამოყენებით შეფასება არის მოსწავლეზე ორიენტირებული და განსაზღვრავს მოსწავლის ცხოვრებისათვის სასარგებლო მიღწევებს დროის მოცემულ მონაკვეთში.

პორტფოლიოს გამოყენებით შეფასებას გააჩნია უნარი, მცირე დროში შეაფასოს მაღალი დონის (ანუ მეტყველების) უნარ-ჩვევები დაბალი დონის უნარ-ჩვევების (ანუ ენის) ნაცვლად (რაც ტრადიციულ შეფასებას ახასიათებს), ის უწყვეტად და არა

ცალკეულ ეპიზოდებში აფასებს ცოდნასა და უნარ-ჩვევებს, აფასებს მოსწავლის სიძლიერესა თუ სისუსტეს. გარდა ამისა, მოსწავლე აქტიურად და ეფექტურად ურთიერთობს მასწავლებლებთან და მშობლებთან. პორტფოლიოს გამოყენებით შეფასება მოსწავლეს აყენებს სწავლების პროცესის ცენტრში და აკისრებს მას ვალდებულებას საკუთარ სწავლაზე.

პორტფოლიოს გამოყენებით შეფასებას აქვს ძალიან ბევრი უპირატესობა მოსწავლეთა, მშობელთა და მასწავლებელთა მიმართებაში. თუმცაღა, პორტფოლიოს გამოყენება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული მის გამიზნულად და ზუსტად გამოყენებაზე (Asturias, 1994).

საბოლოოდ, ჩატარებულმა ანალიზმა დაგვარწმუნა, რომ შეფასების ყველა ტიპს გააჩნია დადებითი და უარყოფითი მხარეები. თუმცა შეფასების არც ერთი ფორმა არ უნდა დარჩეს უყურადღებოდ, ცხადია, რომ ისეთმა ფორმამ, როგორიცაა პორტფოლიო, უნდა მოიპოვოს შესაბამისი ადგილი შეფასების სისტემაში.

მეორე თავი: შეფასების ტიპების გავლენა სასუალო სკოლაში ინგლისური ენის სწავლებაზე

მეორე თავში განხილულია შემდეგი საკითხები: საშუალო სკოლის მოსწავლეების ასაკობრივი თავისებურებები, შეფასების შედეგების გავლენა ინგლისური ენის სწავლებაზე, კომპეტენციები უცხოური ენის სწავლებისას და მათი ასახვა შეფასებაში, ნიშანზე და ცოდნაზე ორიენტირებული სწავლის მიზნები და მათი გავლენა სწავლის ხარისხსა და შეფასებაზე.

ამ თავში მე დავეყრდნობი საშუალო სკოლის (X-XII კლასი) ასაკის მოსწავლეების დამოკიდებულებას ინგლისური ენის სწავლისადმი. ამ ასაკის მოსწავლეები არიან თვისობრივად განსხვავებული როგორც ბავშვებისგან, ისე ზრდასრული ადამიანებისაგან. უფროსი მოზარდები იყენებენ სწავლის ისეთ სტრატეგიებს, რომლებიც შეესაბამება მათ ასაკს და აძლევს მათ საშუალებას, აამაღლონ უნარ-ჩვევების დონე და შეძლონ, მოიპოვონ რეალური წარმატებები (Pennington, 2008). იოლია იმის დანახვა, რომ ამ ასაკის მოსწავლეები აღწევენ ისეთ გონებრივ და ემოციურ დონეებს, რომლებიც საშუალებას იძლევიან, ეფექტურად მიმართონ შეფასებას პორტფოლიოს გამოყენებით. სხვანაირად რომ ვთქვათ,

მათთვის დასაჯერებელი და ნაყოფიერია პორტფოლიოს მეშვეობით შეფასება. იგი ნამდვილად ძალიან მნიშვნელოვანია მოსწავლისა და მასწავლებლის ურთიერთობისათვის. თუ მოსწავლეს გააჩნია ზემოთ აღნიშნული თვისებები, ავთენტური შეფასება შეიძლება იყოს მისთვის უფრო ეფექტური, ვიდრე ტრადიციული.

მეორე თავის 2.2. ქვეთავში დიდი ყურადღება ეთმობა შეფასების შედეგებს ინგლისური ენის სწავლების პროცესში. ინგლისური ენის სწავლების ზოგად შეფასებას აქვს გარკვეული გავლენა ზოგადად განათლების პროცესზე, შესაძლო გავლენებს შორისაა მოტივაცია, მასალების ხარისხი და სწავლების პროცესის გაუმჯობესება. აღნიშნულია, რომ ხშირად მიღებული დაბალი შეფასება უარყოფით გავლენას ახდენს მოსწავლის მოტივაციაზე. თუ მოსწავლეს მიაჩნია, რომ მას არა აქვს უნარი, გავლენა მოახდინოს შეფასებაზე, ის სწავლის სურვილს კარგავს. პორტფოლიოს მეშვეობით შეფასება იმით არის კარგი, რომ მოსწავლეს უჩნდება რწმენა, რომ მას შეუძლია გავლენა მოახდინოს საკუთარ შეფასებაზე.

ინგლისური ენის სწავლისას მნიშვნელოვანია შემდეგი კომპეტენციები: ზოგადი ცოდნა, ლინგვისტური, პრაგმატული, სოციოლინგვისტური და სოციოკულტურული კომპეტენციები. ტრადიციული შეფასება მხოლოდ ლინგვისტურ კომპეტენციას აფასებს, ხოლო პორტფოლიო საშუალებას იძლევა, შეფასებაში ავსახოთ სხვა კომპეტენციებიც, რაც უაღრესად მნიშვნელოვანია იმისათვის, რომ შეფასების სისტემა ასახავდეს ცხოვრებისეულ ამოცანებს.

სწავლის მიზნების მიღწევის მკვლევარებმა (Ames, 1992; Dweck, 1986; Nicholls, 1984) აღნიშნეს, რომ მიზნებს შორის არის: ცოდნის მიღების მიზნები, რომლებიც ორიენტირებულია კომპეტენციის გაუმჯობესებაზე, და დადებითი/მაღალი ნიშნის მიღების მიზნები, რომლებიც ფორმალურ წარმატებაზეა ორიენტირებული. ფაქტიურად, ტრადიციული და განასუთრებით ტესტური შეფასება ძირითადად მეორე ტიპის მიზნებზეა ორიენტირებული, რიც გამოც მოსწაცვლეების ცოდნისა და უნარ-ჩვევების დონე ეცემა. პორტფოლიო საშუალებას იძლევა მოსწავლემ დაინახოს, თუ რის გაკეთება შეუძლია, როცა ცოდნაზეა ორიენტირებული.

მესამე თავი: საშუალო სკოლაში ინგლისური ენის სწავლებისას ალტერნატიული და ტრადიციული შეფასების შედარებითი კვლევა

ეს თავი ეძღვნება პედაგოგიურ ექსპერიმენტალურ კვლევას, რომელიც ადარებს თანამედროვე/ავთენტურ/ალტერნატიულ და ტრადიციულ შეფასებას. კვლევის მიზანი იყო გამოერკვია, კერძოდ, შეფასების რომელ მეთოდს იყენებენ საქართველოს საშუალო სკოლებში; თუ როგორ არიან გათვითცნობიერებულნი მასწავლებლები, მშობლები და ადმინისტრაცია ალტერნატიული შეფასების შესახებ; გაგვერკვია მათი შეხედულებები, თუ მართლა შეიძლება ჰქონდეს პორტფოლიოს მეშვეობით შეფასებას დადებითი გავლენა ინგლისური ენის სწავლებაზე. ამიტომაც ჩემი კვლევა შეიცავს შემთხვევის ანალიზსა და ექსპერიმენტს.

იმისათვის, რომ მიგვეღო ინფორმაცია და გაგვეკეთებინა შესაბამისი დასკვნა, თუ რამდენად არიან ინგლისური ენის მასწავლებლები გათვითცნობიერებულნი პორტფოლიოს მეშვეობით შეფასების შესახებ, ჩავატარეთ **გამოკითხვა.** ჩემ მიერ შემუშავებული ანკეტა შეავსო 100 მასწავლებელმა საქართველოს ??? სკოლიდან. შედეგის ანალიზმა გვიჩვენა, რომ ბევრი მასწავლებელი არ არის ინფორმირებული პორტფოლიოს შესახებ (მხოლოდ 27%-მა გვიპასუხა, რომ კარგად არის ინფორმირებული მის შესახებ). საინტერესოა ის, რომ ზოგმა მასწავლებელმა, რომელმაც თქვა, რომ იცოდა, რა არის პორტფოლიო, აირჩია მისი მცდარი განმარტება, და, პირიქით, ზოგმა მასწავლებელმა, რომელმაც გვიპასუხა, რომ ბუნდოვანი წარმოდგენა თუ აქვს ფორტფოლიოზე, მისი სწორი განმარტება აარჩია, რაც იმას ნიშნავს, სამწუხაროდ, რომ გამოკითხვის შედეგები არ არის 100%-ით საიმედო. ზოგმა მასწავლებელმა იცის, რა არის პორტფოლიო, მაგრამ არ იყენებს მას პრაქტიკაში. მათ შორის კი, ვინც იყენებს პროტფოლიოს (მასწავლებელთა 60%), 25% არ არის ამით კმაყოფილი. 17% იმიტომ არ იყენებს პორტფოლიოს, რომ თვლის, რომ მისი გამოყენებით ძნელია მოსწავლეთა ცოდნისა და უნარ-ჩვევების შეფასება, 45% - იმიტომ, რომ მისი მომზადება და შეფასება დრო-ტევადია, ხოლო 38% - იმიტომ რომ ძნელია ადეკვატური ინფორმაციის მოპოვება პორტფოლიოსთვის.

მიუხედავად ამისა, გამოკითხვის შედეგები დამაიმედებელია. მასწავლებლებს, რომელთაც მოსწონთ ფორტფოლიო, მიაჩნიათ, რომ მას გააჩნია შემოქმედებითი, მოტივაციის, წარმოსახვის უნარი, რაც ტრადიციულ შეფასებას აკლია.

აგრეთვე გამოკითხულთა 37%-მა აღნიშნა, რომ მათ ურჩევნია შერეული შეფასების ფორმა. ყველაფერი ეს იმაზე მიუთითებს, რომ პორტფოლიო, როგორც შეფასების მეთოდი, მოითხოვს მასწავლებლისგან ბევრ დროს და ძალისხმევას. ამიტომაც გამოკითხულ მასწავლებელთა უმრავლესობა - 50% - იყენებს ტრადიციულ შეფასებას, 10% - პროექტებით შეფასებას, 15% — პორტფოლიოს და 25% კი — შერეულ შეფასებას. ეს იმას ნიშნავს, რომ თანამედროვე შეფასების მეთოდები ნელ-ნელა მკვიდრდება სკოლებში.

გამოკითხვის შედეგებმა აჩვენეს, რომ გამოკითხული მშობლების უმრავლესობის 30%-ს სჯერა ტრადიციული შეფასების, 25% კი ტესტირების მომხრეა. ეს არ არის გასაკვირი, რადგან მათ არ იციან იმ სიახლეების შესახებ, რაც განათლებაში ხდება. ისინი, ბუნებრივია, ემხრობიან შეფასების იმ მეთოდებს, რომლითაც თავად იყვნენ შეფასებულნი და მათთვის ახლოა. ამავე დროს, რადგან ისინი არიან/უნდა იყვნენ თავიანთი შვილების განათლების შედეგების დაინტერესებული პირები, ისინი უკეთ უნდა იყვნენ გათვითცნობიერებულნი, თუ რა არის უკეთესი მათი შვილების განათლებისათვის, და არ დაეყრდნენ მთლიანად იმ ინფორმაციას სიახლეების შესახებ, რომელთაც პრესა აქვეყნებს (ხშირად მუქ ფერებში). ფაქტია, რომ ჩემს მიერ მოკლე ინფორმაციის შემდებ მშობლების 25%-მა გაიზიარა ჩემი აზრი შერეული შეფასების მეთოდების უპირატესობის შესახებ. 20% მხარს უჭერს პორტფლიოს, ისინი აღნიშნავენ, რომ ის არც ისე ცუდია და, რომ შეიძლება დროთა განმავლობაში დაიხვეწოს და გახდეს ფართოდ ცნობილი საზოგადოებისათვის.

გამოკითხული იქნა ასევე 20 ადმინისტრაციული პირი (დირექტორი და მოადგილე) 8 სკოლიდან. 40%-მა (8 ადმინისტრაციული პირი) თქვა, რომ მათ სკოლაშებში იყენებენ მხოლოდ ტრადიციულ შეფასებას, 35%-მა (7 პირი) - თანამედროვე და ტრადიციულ მეთოდებს, 20%-მა (4 პირი) - პროექტებზე დაფუძნებულ შეფასებას, ხოლო 5%-მა (1 პირი) აღნიშნა, რომ მის სკოლაში იყენებენ პორტფოლიოს მეშვეობით შეფასებას.

საბოლოოდ შედეგი არც თუ ისე ცუდია, ვხედავთ, რომ 60% სკოლებისა იყენებს შეფასების თანამედროვე მეთოდებს. გავითვალისწინოთ ისიც, რომ მეორე კითხვას ყველამ უპასუხა დადებითად, ანუ ისინი მზად არიან, გამოიყენონ პორტფოლიო

თავიანთ სკოლებში. პორტფოლიოს მიმართ დადებითი დამოკიდებულება რესპოდენტებმა საკმაოდ ერთსულოვნად ახსნეს მოტივაციის გაზრდით (60% - 12 რესპოდენტი), პორტფოლიოს მასტიმულირებელი ბუნებით (25% - 5 რესპოდენტი) და მისი შემოქმედებითი ხასიათით (15% - 3 რესპოდენტი). ვერცერთმა გამოკითხულმა ვერ დაასახელა გარკვეული მიზეზი, რომლის გამოც არ მოსწონდეთ პორტფოლიო. ჩემი აზრით, მისი არგამოყენება არის უბრალოდ სკოლის ადმინისტრაციის ნაკლებად ინფორმირებულობით გამოწვეული. სამაგიეროდ, შეფასების საუკეთესო ხერხის თაობაზე რესპოდენტებმა ერთმანეთისგან სრულიად განსხვავებული პასუხი გაგვცა. ეს, ჩემი აზრით, იმის მაჩვენებელია, რომ ისინი უკეთესად უნდა იყვნენ ინფორმირებულნი შესაფების თანამედროვე მეთოდების შესახებ. შვიდ მათგანმა (35%) ხმა მისცა ტესტირებას, ექვსმა (30%) - კომბინირებულ შეფასებას, ხუთმა (25%) - პორტფოლიოს და ორმა (10%) - ტრადიციულ შეფასებას.

ექსპერიმენტის პროცედურა

მე აგრეთვე ჩავათარე შედარებითი ექსპერიმენტი ტრადიციულსა და პორტფოლიოს მეშვეობით შეფასებას შორის, რომელიც მიმდინარებდა დემირელის კოლეჯის მე-11 კლასის A, B, და C ჯგუფებში 2011/2012 სასწავლო წელს.

მე მიმოვიხილე მრავალი მეთოდი, რათა მომეპოვებინა უცხოენობრივი ცოდნისა და უნარ-ჩვევების შეფასების ოპტიმალური მეთოდიკა. ამის საფუძველზე საკონტროლო ჯგუფში არ მოვახდინე პორტფოლიოს გამოყენება, ხოლო დანარჩენ ორ ჯგუფში კი ორი სხვადასხვა სახის პორტფოლიო იყო გამოყენებული, შეფასების ტრადიციულ საშუალებებთან ერთად. სხვა მხრივ სწავლება სამივე ჯგუფში იყო ერთნაირი, იგივე საათების რაოდენობით (ოთხი 40-წუთიანი გაკვეთილი კვირაში), იგივე წიგნებით (Aim - High S. Iannurri, P. Kelly, Oxford University Press, 2011), ახალი მასალის ახსნის იგივე მეთოდებით. თუმცა სახელმძღვანელო შეიცავს ძალინ ცოტაოდენ პორტფოლიოს, საკონტროლო ჯგუფში მათ არ ვიყენებდით. მოსწავლეთა ენობრივი ცოდნისა და უნარ-ჩვევების შესაფასებლად სამივე ჯგუფში გამოვიყენეთ წინა-ტესტირება, ორი ტესტი ექსპერიმენტის მსვლელობისას და ერთი ტესტი ექსპერიმენტის დასრულებისას. ასევე გამოვკითხეთ სამივე ჯგუფის მოსწავლეები

მათი ინგლისური ენის სწავლის მოტივირების თაობაზე ექსპერიმენტის დაწყებამდე და მის დასრულებისას.

ექსპერიმენტის მიზანი იყო, მეჩვენებინა პორტფოლიოსა და ტრადიციული (ზეპირი, წერითი, ტესტური) ჯამური შეფასების უფრო მაღალი ეფექტურობა მხოლოდ ტრადიციულ მეთოდებთან შედარებით. პორტფოლიო უპირატესობაა ის, რომ მას შეუძლია მოსწავლის მიღწევების ზუსტი შეფასება და ამის გამო მას დიდი წვლილი შეაქვს მოსწავლის პროგრესში.

ექსპერიმენტის მიზანი (ექსპერიმენტულ ჯგუფებში) იყო:

— პორტფოლიოს გამოყენებით მოსწავლეების მოტივაციის გაზრდა;

— მოსწავლეების აქტიური ჩაბმა სწავლის პროცესში;

— მოსწავლეების მიერ პასუხისმგებლობის აღება თავიანთი სწავლის მიმართ;

— დადებითი დამოკიდებულის ქონა ყველა საკითხთან დაკავშირებით (ინგლისური ენის შესწავლისას);

— მოსწავლეების ენობრივი უნარ-ჩვევების დონის ამაღლება;

— მოსწავლეების გამხნევება, რათა მათ ისწავლონ დამოუკიდებლად;

— მოსწავლეებისა და მასწავლებლის ურთიერთობის განვითარება

გრაფიკი 1. ექპერიმენტის შედეგები: მოსწავლეების ენობრივი უნარ-ჩვევების დონე



პირველი გრაფიკიდან, რომელზეც ასახულია სწავლების შედეგები სამივე ჯგუფში, ადვილი დასანახია, რომ ექსპერიმენტალურ A ჯგუფში სწრაფი და მუდმივია უნარ-ჩვევების დონის ზრდა, შედარებით ნელი და მერყევია ზრდის ტემპი B ჯგუფში, C ჯგუფში კი შესამჩნევია უნარ-ჩვევების დონის ხან ნელი ზრდა, ხან კი მცირე დაკლება.

დისერტაციაში მოტანილ ციფრული მონაცემებიდან ასევე ვხედავთ, რომ C ჯგუფში მედიანის მნიშვნელობა არ იზრდება, საშუალო არითმეტიკული და მოდა კი ნელა და არასტაბილურად იზრდება. ისე რომ, ამ ჯგუფის შედეგები ნაკლებად შთამბეჭდავია, ვიდრე ორივე ექსპერიმენტული ჯგუფისა. სტანდარტული გადახრაც C ჯგუფში ოთხი გაზომვიდან სამში ერთიანზე მეტია (10-ქილუანი შეფასებით), რაც იმის დასტურია, რომ ამ კლასის უნარ-ჩვევების დონე საკმაოდ ჰეტეროგენული (არათანაბარი) იყო ექსპერიმენტის დასაწყისში და ასეთივე დარჩა.

გრაფიკი 2. ექსპერიმენტის შედეგები: მოსწავლეების მოტივაციის დონე



მეორე გრაფიკიდან ჩანს, რომ მოტივაციის საშუალო დონე საკონტროლო ჯგუფში ცოტათი გაიზარდა ექსპერიმენტის მსვლელობის განმავლობაში (1.5→1.75

შეფასების სამქულიან სისტემაში), მაგრამ არა იმდენად, როგორც დანარჩენ ორ (ექსპერიმენტულ) ჯგუფში (A ჯგუფი - 1.7→2.9; B ჯგუფი – 1.8→2.7).

ამგვარად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ექსპერიმენტის შედეგები ეთანხმება აზრს იმის შესახებ, რომ ტრადიციული და პორტფოლიო შეფასების კომბინაცია იწვევს უფრო მაღალ მოტივაციას, თვითდაჯერებას და ენის უნარ-ჩვევების დონეს, ვიდრე შეფასების მხოლოდ ტრადიციული მეთოდების გამოყენება.

დასკვნა

1. ცოდნისა და უნარ-ჩვევების შეფასების მეთოდი ძალიან მნიშვნელოვანი საკითხია სწავლების მეთოდიკაში. ისინი განსაზღვრავენ მოსწავლის წარმატებასა თუ მარცხს და მოუწოდებენ მას, ისწავლოს უკეთესად. სტუდენტთა ცოდნისა და უნარ-ჩვევების შეფასების ფუნქციებია: მოტივაცია, სწავლებისა და სწავლის გამოსწორება, აღზრდა, დაინტერესებულ პირთა ინფორმირება და კვლევა. იმის გამო, რომ შეფასების ტრადიციული მეთოდები (ზეპირი პასუხი, წერილობითი ესე, ტესტირება) არ არის უტყუარი (ეს დავალებები არ არის რეალური ცხოვრებისათვის გამოსაყენებელი), ზოგიერთი სტუდენტი შეიძლება ძალიან მაღლა იქნეს შეფასებული, მაგრამ მას არ შეეძლოს თავისი ცოდნა ადეკვატურად გამოავლინოს რეალურ ცხოვრებაში. შესაძლოა ასევე, მოხდეს პირიქითაც – დაბალი შეფასების მქონე მოსწავლეებმა უკეთესად წარმოაჩინონ თავი რეალურ ცხოვრებაში. აი ამიტომაც არის საჭირო შეფასების თანამედროვე სისტემის შემოღება, რათა უზრუნველვყოთ, რომ შეფასდეს მოსწავლეების ლინგვისტური, სოციოლინგვისტური, ლინგვოპრაგმატული, ლინგვოკულტურული და სტრატეგიული ის ცოდნა, რომელიც მათ დასჭირდებათ რეალურ ცხოვრებაში.

2. საკვლევ თემაზე ლიტერატურის ანალიზის საფუძველზე მე ვასკვნი, რომ პორტფოლიოს გამოყენებით შეფასების მთავარი უპირატესობებია: მოსწავლის კონცენტრირება შედეგზე ხელს უწყობს მათ თვითშეფასებას და ურთიერთშეფასებას, ზრდის მოსწავლეთა მოტივაციას, აქვს სისტემური ხასიათი და ყურადღებას ამახვილებს პრაქტიკული უნარის გაუმჯობესებაზე და არა სხვებთან შედარებაზე.

3. კვლევის ანალიზმა გამოსაკვლევ თემაზე აჩვენა, რომ შეფასების ყველა მეთოდს აქვს გარკვეული ხელსაყრელი და არახელსაყრელი პირობა. ამგვარად, არცერთი მათგანი არ უნდა დარჩეს უყურადღებოდ ან იქნეს ამორჩეული შეფასების ერთად-ერთ მეთოდად. მე ვურჩევ უცხო ენათა მასწავლებლებს, შეაფასონ მოსწავლის მიერ ენის ცოდნა ტრადიციული და ავთენტური (კერძოდ, პორტფოლიოს) შეფასების კომბინირების გზით. ჩემს ექსპერიმეტში გამოვიყენე 70% ტრადიციული შეფასებისა და 30% – პორტფოლიოს მეშვეობით შეფასების.

4. ალტერნატიული / ავთენტური შეფასების ტიპებს შორის არის პორტფოლიოების გამოფენა, მასწავლებლისა და მოსწავლის პორტფოლიო და მასწავლებლის ალტერნატიული შეფასების პორტფოლიო. პორტფოლიო შეიძლება მომზადდეს ფურცელზე ან ელექტრონულად. რადგან მასწავლებლის ალტერნატიული შეფასების პორტფოლიო ფაქტიურად არის მასწავლებლისა და მოსწავლის პორტფოლიოს სახეობა, მე, ექსპერიმენტის ჩატარებისას, კონცენტრირება მოვახდინე ორი სახის პორტფოლიოზე: პორტფოლიოების გამოფენასა და მასწავლებელ / მოსწავლის პორტფოლიოზე. ექსპერიმენტისას ვიყენებდი პორტფოლიოს ფურცლის ფორმატს, რადგან ყველა მოსწავლეს საკმარისად არ მიუწვდებათ ხელი კომპიუტერზე.

5. გამოკითხვის მონაწილეების (ადმინისტრაციის, მასწავლებლებისა და მშობლების) დამოკიდებულებამ პორტფოლიოს როგორც ენობრვი უნარ-ჩვევების შეფასების საშუალების მიმართ, გვიჩვენა, რომ:

— სკოლის ადმინისტრაცია ხშირად არ არის კარგად ინფორმირებული შეფასების თანამედროვე საშუალებების (მათ შორის, პორტფოლიოს) შესახებ. მოკლე ინფორმირების შემთხვევაშიც კი ისინი ინტერესდებიან ამ მეთოდების გამოყენებით თავიანთ სკოლებში.

— ბევრი მასწავლებელი არ არის კარგად ინფორმირებული პორტფოლიოს როგორც შეფასების საშუალების შესახებ. ისინი, ვინც არიან, ყველა არ გამოიყენებს მას პრაქტიკაში, და ზოგი მათგანი, ვინც იყენებს შეფასების ამ მეთოდს, არ არის ამით კმაყოფილი. ეს იმას ნიშნავს, რომ მასწავლებლები უკეთესად უნდა იყვნენ ინფორმირებულები სწავლებისა და შეფასების მეთოდიკის სიახლეების შესახებ.

— დღესდღეობით მშობლები განსაკუთრებით დაინტერესებული არიან თავიანთი შვილების ცოდნის შეფასებით. მშობლების უმრავლესობა ენდობა ტრადიციულ შეფასებას და ტესტირებას. ბუნებრივია, ისინი მხარს უჭერენ შეფასების ხერხებს, რომლებიც მათ თვითონვე გამოსცადეს და რომლებიც უკვე კარგად არის ნაცნობი მათთვის. შესაბამისად, ისინი უკეთესად ინფორმირებული უნდა იყვნენ მასწავლებლის და სკოლის ადმინისტრაციის მიერ, თუ რამდენად ხელსაყრელია ახალი სასწავლო და შეფასების მეთოდები, რომლებიც გამოყენებულია მათი შვილების სწავლებისას.

— ჩემს მიერ ჩატარებულმა ექსპერიმენტმა მაჩვენა, რომ ტრადიციული და პორტფოლიოს გამოყენებით შეფასების კომბინირება გვაძლევს სწავლის უფრო მაღალ მოტივაციას და, შესაბამისად, ენობრივი უნარ-ჩვევების უფრო მაღალ დონეს, ვიდრე წმინდა ტრადიციული შეფასება. ორი ტიპის პორტფოლიოს შორის შედარებამ კი გვაჩვენა, რომ პორტფოლიოების გამოფენა უფრო მეტად მოტივირებული და ეფექტურია, ვიდრე მასწავლებელ / სტუდენტთა ტიპის პორტფოლიო.

დისერტაციის ძირითადი შედეგები განხილულია შემდეგ პუბლიკაციებში:

1. Ramazan Göctü. Portfolio Assessment. (2011). International Black Sea University. “First International Research Conference at the Faculty of Education on Education, ELT, English literature and Literatures in English.” p. 77-86
2. Ramazan Göctü. (2012). Assessment in English Language Teaching (ELT). *IBSU Journal of Education*, 1 (1), p. 23-27
3. Ramazan Göctü. (2013). Comparison of traditional and portfolio Assessment Efficiency in English Language Teaching in High Schools. *IBSU Journal of Education*, 1 (2), p. 43-52
4. Ramazan Göctü. E-portfolio in education. “Third International Research Conference at the Faculty of Education on Education, ELT, English literature and Literatures in English.” p. 198-207